ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3195449

ნომერი: AR1490726

თარიღი : 29.03.2017

გაცემის თარიღი : 08.04.2017

გაცნობის თარიღი : 08.04.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გიორგი ნადარეიშვილის ქუჩა N4(ნაკვ 9/2)/ ქალაქი თბილისი , ჩიხი სამგორი , N 4ა ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- კარლო მშვიდობაძე პ/ნ 62001038592
- სოხუმი ძიძარიას ქ. N 18

ნომენკლატურა :

- საწყობი
- III კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: №1921838 (№2795229 24.08.2016)
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 6.10.2015

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: საწყობი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: კარლო მშვიდობაძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს."MK-ARCHITECTURE"

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 400029376

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: სს. "ბაკალეა"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 206052108
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: დავით როგავა
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01017046260

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 15110.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 402.05
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 538.94
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 154.85
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 15.12
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 25.53
- .სასაწყობე ფართობი (კვ.მ).: 343.44
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 1296.04
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 1229.58
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 66.46
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 8.8
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 7.8
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 1.0
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : ---
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : ---
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : ---

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული №AR14900726 განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ შემდეგს:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურის 31.03.2017წ. №13-01170904081 წერილით (სამსახურში რეგისტრაციის №07/3240-13 03.04.2017წ.) არქიტექტურის სამსახურისთვის ცნობილი გახდა, რომ საპროექტო ობიექტის მშენებლობა ნაწარმოებია უნებართვოდ. აქედან გამომდინარე და მოქმედი კანონმდებლობის თანახმად საჭიროა წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული დადგენილება სამშენებლო–სამართალდარღვევის საქმეზე და შესაბამისი დარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

1.საპროექტო ტერიტორიის გენერალური გეგმა, მასშტაბი 1:500. -> .გენერალური გეგმის pdf ფაილი.: საპროექტო გადაწყვეტით ირკვევა, რომ ხდება ხე-ნარგავების მოჭრა/გადარგვა. აქედან გამომდინარე წარმოსადგენია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიის და გამწვანების სამსახურის შესაბამისი თანხმობა/ნებართვა. წარმოსადგენია ასევე ხაზოვანი ნაგებობის მესკაკუთრ(ებ)ის შესაბამისი თანხმობა ნებართვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

2.არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.: წარმოსადგენია ფაქტობრივი მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალა, მიუთითეთ გადაღების თარიღი.

3.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: განაახლეთ საჭიროების შემთხვევაში.

4.შენობა-ნაგებობის ყველა სართულისა და სახურავის გეგმები, მასშტაბი 1:100. -> .გეგმების pdf ფაილი.: თითოეული შენობის გეგმა წარმოადგინეთ ასევე ცალკე გვერდებად, ფართებზე ან გეგმაზე დაიტანეთ ფუნქციები. გაითვალისწინეთ გაპით დადგენილი საპროექტო ობიექტი და ფუნქცია. იმ შემთხვევაში თუ შენობების ფუნქციები განსხვავდება ერთმანეთისგან, საკითხი უნდა დააყენოთ ცალკ-ცალკე განაცხადით და საპროექტო შენობების ფუნქციების შესაბამისად განსაზღვროთ ნომენკლატურა.

5.საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. : განაახლეთ ხარვეზების შესაბამისად.

6."მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი -> .მოსაკრებელის მოშენების ფართობის რიცხვითი მაჩვენებელი: გადახდილ იქნას განაშენიანების ფართობის შესაბამისად, კვადრატულ მეტრზე 1 (ერთი) ლარის ოდენობით.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.